ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნიზმის სხივი

1990 | 1 | მარტი | ხუთშაბათი | №26 (6258) | ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

არჩევნებს — შრომითი და პოლიტიკური აქტივობა!

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა დაიბადა 1955 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერში. 1972 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაერიცხა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1977 წელს ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

1977 წელს მუშაობას იწყებს ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მექანიზაციის მასწავლებლად. ამავე წლის ნოემბერში გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც მოიხადა 1979 წლის მაისში.

დემობილიზაციის შემდეგ 1979 წლის მაისიდან 1979 წლის ივლისამდე მუშაობდა საქსახკომსოფლტექნიკის ცაგერის რაიონული განყოფილების საამქროს უფროსად. 1979 წლის ივლისიდან 1980 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შემდეგ — რაიკომის მდივნად.

1980 წლის ოქტომბრიდან ე. კ. გუგავა გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომში.



1983 წლის ნოემბრამდე მუშაობდა ინსტრუქტორად, შემდეგ 1986 წლის მაისამდე — სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1986 წლის მაისიდან 1987 წლის ივლისამდე არის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე.

1987 წლის ივლისიდან იმავე წლის ოქტომბრამდე არის საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანი.

1987 წლის ოქტომბერში ე. კ. გუგავა აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც მუშაობს დღემდე.

სკკპ წევრია 1980 წლის მაისიდან.

დაოჯახებულია. მეუღლე, მარინე კარლოს ასული ქაჩიბაია, უმაღლესი განათლებით დროებით უმუშევარია. ცხოვრობს ქ. ცაგერში, ლენინის ქ. №47.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმმა.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

დეპუტატად არჩევის შემთხვევაში საჭიროდ მიაჩნია დააყენოს და მხარი დაუჭიროს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მიღწევის საფუძველზე რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის კომპლექსში რეგიონის ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის შექმნისათვის ბრძოლა, რასაც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობა ტრადიციული დარგებით; ეკოლოგიადაცული მრეწველობა, მეურნეობის მართვის პროგრესულ (კოოპერაციული, გლეხური) ფორმებზე გადასვლა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების მომატება. მიზანი—ძლიერი რეგიონები — ძლიერი რესპუბლიკა.

დემოგრაფიული პროცესის გაჯანსაღება ეროვნული სკოლის კონცეფციის სრულყოფილად განხორციელების გზით ისე, რომ, ახლო მომავალში რაიონის სახალხო მეურნეობას ეყოლოს სრულყოფილი მწარმოებელი ძალები, პროფესიონალი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის ეკონომიკურ-სოციალურ პროგრესს.

ბრძოლა სოციალური საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის, ისეთი კანონების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ სრულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პლურალიზმს, დემოკრატიას, საფუძველს გამოაცლიან ბიუროკრატიზმს, მომხვეჭელობას, კორუფციას, დახვეწენ სახელმწიფო აპარატის საქმიანობას, ხელს შეუწყობენ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ჯანსაღმა სოციალურ-საზოგადოებრივმა გარემომ უნდა უზრუნველყოს მშრომელთა შეძლებული და მშვიდი ცხოვრება.

საქართველოს ეროვნულ-კულტურული ტრადიციების (ენა, მამული, სარწმუნოება) აღორძინება, რეგიონალური კულტურის, ყოფის, ისტორიის ძეგლების აღდგენა და ბუნებრივი გარემოს დაცვა; მთელი ამ კომპლექსის სრულყოფა ისე, რომ იგი ბუნებრივად შეერწყას ეროვნული კულტურისა და ყოფის ტრადიციებს, გახდეს მომავალი თაობის სულიერი საზრდო და ეროვნული მოძრაობის საფუძველი.

კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით მიღწეულ უნდა იქნას კონსტიტუციიდან მე-6 მუხლის ამოღება, მრავალპარტიულობის შექმნა. პარტიული აპარატების რადიკალურად შემცირება და მათი მოღვაწეობა საზოგადოებრივ საწყისებზე.

ეკოლოგიური და დემოგრაფიული პროცესის სრულყოფა, არა მარტო ეკოლოგიური და დემოგრაფიული პროცესის გაჯანსაღებისათვის საზიანო მშენებლობებისა და მოვლენების აკრძალვისათვის ბრძოლა, არამედ ისეთი სრულყოფილი კომპლექსის ამოქმედება, რომლის საფუძველი იქნება ახალი ტყეების გაშენება, თესლბრუნვის დამკვიდრება, მრავალწლიანი ბალახებისა და ტყე-კულტურების გაშენება, ეროზიის საწინააღმდეგო მეთოდების დამუშავება და დანერგვა.

დემოგრაფიული პროცესის მართვის სრულყოფა ხელოვნური ჩარევით და მიგრაციის აუცილებელი შეჩერებით, რომელიც დაეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას: საწარმოო ძალთა სრულყოფილი გამოყენება, სოციალური პრობლემების გადაჭრა და საჭიროების შემთხვევაში მართვადი მიგრაციის სრულყოფა.

ბრძოლა ისეთი საარჩევნო კანონისათვის, რომელიც უზრუნველყოფს არამარტო ჭეშმარიტი პარლამენტის შექმნას, არამედ რაიონული და ადგილობრივი საბჭოების ისეთ დაკომპლექტებას, რომლებიც სრულყოფილად გაატარებენ კანონს, დაიცავენ სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნებს და ამასთან უზრუნველყოფენ რაიონის სოციალურ - ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

ბრძოლა კომუნისტური პარტიის ფარგლებში პლურალიზმის დამკვიდრებისათვის, სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან, საზოგადოებებთან დიალოგის გაღრმავებისათვის, მთელ ეროვნულ ძალებთან კონსოლიდაციისათვის, საქართველოს რეალური სუვერენიტეტის მიღწევისათვის პარლამენტარიზმის გზით, რაც გამორიცხავს ეთნოკრიზისს, ერთა დაპირისპირებებს, ნაციონალიზმს.

ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნა.

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის პლატფორმა გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ 1989 წლის 155-ე ნომერში. პლატფორმისა და პროგრამის განხორციელების კონკრეტულ გეგმას დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩევლებს გააცნობს წინასაარჩევნო შეხვედრებზე.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების სასოფლო საბჭოების საარჩევნო ოლქების რაოდენობის დამტკიცების შესახებ.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს რაიონის სასოფლო საბჭოების საარჩევნო ოლქების რაოდენობა.

ტვიშის სასოფლო საბჭოს —21

ალპანის სასოფლო საბჭოს —25

ლაილაშის სასოფლო საბჭოს—23

ორბელის სასოფლო საბჭოს—38

უსახელოს სასოფლო საბჭოს—17

ღვირიშის სასოფლო საბჭოს—23

ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს—15

ალვის სასოფლო საბჭოს —15

ლასურიაშის სასოფლო საბჭოს—25

ლუხვანოს სასოფლო საბჭოს — 15

წიფერჩის სასოფლო საბჭოს—23

ზუბის სასოფლო საბჭოს —23

ოყურეშის სასოფლო საბჭოს—23

ქვ. ცაგერის სასოფლო საბჭოს—40

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. სვანიძე.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი ნ. ტვილდიანი.

ქ. ცაგერი. 20 თებერვალი, 1990 წელი.

ცნობა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს დეპუტატების არჩევნების საარჩევნო ოლქების რაოდენობა განისაზღვრა 50 საარჩევნო ოლქით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ

არჩევნებისათვის მზადების კამპანია დღითიდღე ძალაში შედის. დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს ისეთი პარლამენტის შექმნა, რომელიც წინ წარუძღვება ერს, იღვაწებს ხალხისდელი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსთვის.

ადამიანები პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში ხვდებიან არჩევნებს, ავლენენ ინტერესს არჩევნების შესახებ კანონის ირგვლივ. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესებს.

საარჩევნო ბიულეტენს ხმის მიმცემი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება, გარდა ხმის მიმცემისა. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში სხვა პირი მიიწვიოს თავისი შეხედულებისამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, დეპუტატობის კანდიდატის

არჩევნების შედეგების შეჯამებისა და გამოქვეყნების წესი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დროს საარჩევნო უბანში ხმებს ითვლიან ცალ-ცალკე, დეპუტატობის კანდიდატის მიხედვით.

ყუთებს ხსნის საუბნო-საარჩევნო კომისია მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გამოაცხადებს, რომ დამთავრებულია ხმის მიცემა. საარჩევნო ბიულეტენს ითვლის და აუქმებს საუბნო-საარჩევნო კომისია. ამის შემდეგ ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებიც ჩაშვებული იყო საარჩევნო ყუთში ხმის მისაცემი შენობის გარეთ.

საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით ადგენს უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, აგრეთვე თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს. იმ მოქალაქეთა გვარების მიხედვით მიცემულ ხმებს, რომლებიც დამატებით ჩაწერეს ამომრჩევლებმა ბიულეტენებში, არ ითვლიან.

ბათილად ცნობენ დაუდგენელი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენებს, აგრეთვე ბიულეტენებს, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის გზით.

ხმების დათვლის შედეგებს განიხილავენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესით.

საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია განსაზღვრავს: ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს, ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვს, თითოეული დეპუტატობის კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვს.

არჩეულად ითვლებიან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებენ.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს არჩევნების დროს ან ხმების დათვლისას დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

არჩევნები ჩატარებულად არ ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები.

საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგებს ადგენენ საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე და შეაქვთ ოქმში. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და წევრები და უგზავნიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

ცნობას საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების შესახებ პრესაში აქვეყნებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში. ცნობაში აღინიშნება ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეთა საერთო რიცხვი, ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი, თითოეული კანდიდატის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი, არჩეულად დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კომისიათაგან მიღებული ოქმების საფუძველზე რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩეულ დეპუტატებს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეუძლია ბათილად ცნოს არჩევნები, თუ არჩევნების, ხმების დათვლის ან არჩევნების შედეგების განსაზღვრის დროს დაირღვა ეს კანონი და უარი თქვას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის რეგისტრაციაში გატარებაზე.

ცნობას საქართველოს სს რესპუბლიკაში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულთა სიას ანბანური წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესაში აქვეყნებს არჩევნებიდან არა უგვიანეს ათი დღისა. ამასთან აღინიშნება დეპუტატის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), პარტიულობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქი.

ადამიანები ჩვენს გმირდით

★

მტკიცდება რწმენა

რაიონის კოლმეურნეობებში, ეცნობი რა რიგით ადამიანთა მონაცემებს, თანდათან მტკიცდება რწმენა იმისა, რომ ღირს შრომა.

სწორედ ამის დასტურია ცაგერის კოლმეურნეობის მოიჯარის, ახალგაზრდა კაცის, ჭალისთაველი იური კოპალიანის შრომა-საქმიანობა. ეცნობი რა მის მონაცემებს, რწმუნდები, რომ უამინდობა არაფერ შუაშია, მან თუ შეძლო, იგივე ამინდის პირობებში სხვისთვის რატომ გახდა საგეგმო დავალების შესრულება მიუწვდომელი? იჯარით გაპიროვნებულ ზვარს უვლიდა, გეგმით 1200 კილოგრამი ყურძენი უნდა მოეწია და 1227 კილოგრამი ჩააბარა კოლმეურნეობის სახელზე ღვინის საწარმოს. ანაზღაურებითაც არაა უკმაყოფილო, ამასთან კოლმეურნეობის სათიბებში 6 ცენტნერი თივა დათიბა.

იჯარაში ჩაბმული ახალგაზრდა კაცი ელექტროქსელებში მუშაობს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად შრომით საქმიანობაშიც აქტიურობს.

თვალსაზრისი

ახლა ბევრი იწერება იმაზე, საჭიროა თუ არა დარჩეს კოლექტიური მეურნეობები. ბევრი უარყოფით აზრს გამოთქვამს კოლმეურნეობების შემდგომ არსებობაზე, ბევრი კი მომხრეა. აზრთა პლურალიზმის პირობებში ყველას აქვს უფლება გამოთქვას თავისი თვალსაზრისი.

მეც მინდა ჩემი აზრი ვთქვა აღნიშნულ საკითხზე. კოლექტიური, რომელსაც ქონდა ავტორიტეტი და კარგად ესმოდა მეურნეობის ყველა ის დარგი, რაც სოფელში იყო განვითარებული.

კოლმეურნეობების მიმართ ადრე უკმაყოფილებას, პროტესტს არავინ გამოთქვამდა, პირიქით, კმაყოფილიც იყვნენ, მათ მიერ კოლწევრთა უმეტესი ნაწილი არ ცდილობს მიწის სწორად გამოყენებას, ამუშავებს მას უხარისხოდ, დროისა და სეზონის გაუთვალისწინებლად და ძალზე მცირე მოსავალს იღებს, ანდა სულ არაფერს იწევს. ბალახის, თივის დათიბვით უფროა დაინტერესებული, ვიდრე სიმინდის ანდა, თუ გნებავთ, ყურძნის მოსავლის მიღებით. ასეთებს აქვთ თავის რჩენის და ოჯახის შენახვის სხვა საშუალებაც. ამიტომ არ არიან დაინტერესებული მიწაზე მუშაობით. კოლექტიურ შრომას ის მნიშვნელობა ქონდა, რომ ერთმანეთის გვერდით მდგომი ბრიგადის ვერცერთი წევრი ვერ გაბედავდა მიწის ცუდად დამუშავებას, რადგან იცოდა, რომ მას იქვე მისცემდნენ შენიშვნას და გამოასწორებინებდნენ. მეორეც ის, რომ ყველა უფრთხილდებოდა თავის ნაშრომს და არავის მისცემდა მისი გაფუჭების, მოპარვის, გაფლანგვის თუ სხვა გზებით მოსავლის განიავების უფლებას.

მეორე უარყოფითი შედეგი მაშინ მივიღეთ, როცა კოლმეურნეობები ფულად ანაზღაურებაზე გადავიდნენ. ამ დროს გლეხმა იცის, რომ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისათვის მაინც მიიღებს განსაზღვრულ თანხას და ის უკვე დაინტერესებული აღარ არის კარგი მოსავლის მიღებით. მაგალითად, თუ ერთი ჰექტარი სიმინდის ფართობის გათოხნაში მას 25-30 მანეთს გადაუხდიან, რა თქმა უნდა, იგი მოინდომებს ფართობი რაც შეიძლება მოკლე დროში დაამუშაოს და დაინტერესებული აღარაა, როგორი მოსავალი მოვა აღნიშნულ ფართობზე, რადგან მოსავალი მისი არ არის. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მიწის სწორ გამოყენებაზე და მაქსიმალური მოსავლის მიღებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მესამე უარყოფითი შედეგი გამოიღო ასევე კოლმეურნეობებზე მტკიცე გეგმების მიცემამ. ბაღის, ვენახის გაშენების, ფერმის სულადობის დაგეგმვამ და იქიდან პროდუქციის მაქსიმუმის სახელმწიფოსათვის მიყიდვამ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასებით და არა იმ გაანგარიშებით, თუ რა დაუჯდა კოლმეურნეობას ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება. რა თქმა უნდა, ამან გააღარიბა კოლმეურნეობის სალარო. ამასთან კოლმეურნეობების შემოსავალი შეამცირა ასევე მოწოდებული პროდუქციის ფასების სისტემატურმა ზრდამ. ასე, მაგალითად, საწვავის (ბენზინი, სალიარკა და სხვა) ფასი 7-დან 15 კაპიკამდე გაძვირდა, ე. ი. 100 და მეტი პროცენტით, იმ დროს, როცა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ფასი 1 მანეთი და 70 კაპიკიდან 2 მანეთ და 41 კაპიკამდე ე. ი. 41 პროცენტითაა გადიდებული.

და ბოლოს, ჩვენი რაიონის პირობებისათვის ფერდობების დაქანების საპირისპიროდ ტრაქტორებით ხვნა ლეჩხუმის მიწების პირდაპირ კატასტროფაა, ხელის შეწყობაა ნაყოფიერი მიწის ჩამორეცხვის, ეროზიებისა და მეწყერების წარმოშობის, როგორც მთაგორიანი რაიონი, კოლმეურნეობას აუცილებლად უნდა ყავდეს საჭირო რაოდენობის გამწევი ძალა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსაგან სესხების აღება, მისი დროული დაბრუნებისათვის უზრუნველობა, ერთეულ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

თუკი კოლმეურნეობები გაუქმდება...

ურ მეურნეობებს, როცა პირველად შეიქმნა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღარიბი გლეხებისათვის. მასში თავისი ნებით თუ უნებურად (იმ დროს არსებული კანონმდებლობის მიხედვით) ხალისით ერთიანდებოდა ღარიბი გლეხობა, ხოლო უფრო პასიურობდა შეძლებული გლეხობა და, რა თქმა უნდა, თავადაზნაურთა ის პლეადა, რომლებიც მიწების დიდ ფართობებს ფლობდნენ, ეგრეთწოდებული დაქირავებული მუშებით და გლეხებით ამუშავებდნენ და ნატურით უხდიდნენ გლეხებს მოსავლის ნაწილს. გასაბჭოების შემდეგ კოლექტიური მეურნეობების შექმნას სოფლად უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. მისი დადებითი მხარე ის იყო, რომ გლეხთა გარკვეულ მასას, სოფელს, უფრო ადვილად შეეძლო შეეძინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, შეერჩია და კოლმეურნეობის სათავეში ჩაეყენებინა სოფელში ყველაზე უფრო მცოდნე და გამოცდილი მეურნე კაცი, რომელსაც ქონდა ავტორიტეტი და კარგად ესმოდა მეურნეობის ყველა ის დარგი, რაც სოფელში იყო განვითარებული.

კოლმეურნეობების მიმართ ადრე უკმაყოფილებას, პროტესტს არავინ გამოთქვამდა, პირიქით, კმაყოფილიც იყვნენ, მათ მიერ მოწეული მოსავალი, პროდუქტების თითოეული სახეობა შრომადღეების მიხედვით ნაწილდებოდა ნატურით. ამავე დროს მუშაობა მიმდინარეობდა კოლექტიურად, ბრიგადებად, ჯგუფებად, არ იყო ცალკეულ პირებზე მიწის მიმაგრების და გაპიროვნების შემთხვევები. ბრიგადებში, რგოლებში ხდებოდა თვითშერჩევა, ვის ვისთან სურდა ემუშავა. ასე იქმნებოდა თანაბარი ძალის ბრიგადები, რგოლები, რომლებიც მიღებულ შედეგებსაც თანაბრად ინაწილებდნენ.

კოლმეურნეობებში პირველი უარყოფითი შედეგი იმან გამოიღო, როცა მიწის ნაკვეთების ცალ-ცალკე გაპიროვნება-მიმაგრება დაიწყო, როცა ზოგს კარგი მოსავალი მოჰყავს, ზოგს კი — საშუალო. თავის შრომა-საქმიანობას უკავშირებენ საგეგმო დავალებების დონეს და არ ცდილობენ მიაღწიონ მაქსიმალური მოსავლის მიღებას, ხოლო

ადამიანები ჩვენს გმირდით

★

მტკიცდება რწმენა

რაიონის კოლმეურნეობებში, ეცნობი რა რიგით ადამიანთა მონაცემებს, თანდათან მტკიცდება რწმენა იმისა, რომ ღირს შრომა.

სწორედ ამის დასტურია ცაგერის კოლმეურნეობის მოიჯარის, ახალგაზრდა კაცის, ჭალისთაველი იური კოპალიანის შრომა-საქმიანობა. ეცნობი რა მის მონაცემებს, რწმუნდები, რომ უამინდობა არაფერ შუაშია, მან თუ შეძლო, იგივე ამინდის პირობებში სხვისთვის რატომ გახდა საგეგმო დავალების შესრულება მიუწვდომელი? იჯარით გაპიროვნებულ ზვარს უვლიდა, გეგმით 1200 კილოგრამი ყურძენი უნდა მოეწია და 1227 კილოგრამი ჩააბარა კოლმეურნეობის სახელზე ღვინის საწარმოს. ანაზღაურებითაც არაა უკმაყოფილო, ამასთან კოლმეურნეობის სათიბებში 6 ცენტნერი თივა დათიბა.

იჯარაში ჩაბმული ახალგაზრდა კაცი ელექტროქსელებში მუშაობს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად შრომით საქმიანობაშიც აქტიურობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ებ ა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების რაიონული საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა **გადაწყვიტა:**

„საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე შეიქმნას რაიონული საარჩევნო კომისია შრომითი კოლექტივების და საზოგადოებრივი ორგანოების წარმომადგენლების შემადგენლობით:

ახვლედიანი მერაბ ყორას ძე—განათლების განყოფილების კინომექანიკოსი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების განათლების განყოფილების პირველადი ორგანიზაციისაგან.

ბაქრაძე ბაბუცა ევგენის ასული— გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ რედაქციის რადიო-ინფორმაციის განყოფილების გამგე, ქალთა რაიონული საბჭოსაგან.

ბენიძე გუშერ სარდიონის ძე— უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზუბის აგროუბნის მმართველი, ზუბის აგროუბნის შრომითი კოლექტივისაგან.

კვირკაშვილი ამირან ალიოშას ძე— რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქის განვითარებისა და საბინაო-კომუნალური განყოფილების გამგე, რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კვირიკაშვილი მალვინა გიორგის ასული— ლინოტიპისტი, გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის შრომითი კოლექტივისაგან.

კოპალიანი სოსო ბიჭიკოს ძე—საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების ინსტრუქტორი, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სილაგაძე კონსტანტინე ალექსის ძე— სახლმმართველი, შრომისა და ომის ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლიპარტელიანი მუხრან მურადის ძე—ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარი ინჟინერი, ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

მამარდაშვილი მანანა ზაურის ასული—მუშა, ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

მუშკუდიანი გოგი ოთარის ძე—ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

სადილიანი ნანული ამბროსის ასული—ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი, საქართველოს სახალხო ფრონტის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

სილაგაძე თემურ ვარლამის ძე—აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსი რევიზორი, აგროსამრეწველო გაერთიანების პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

სილაგაძე ოთარ ვლადიმერის ძე—საკოლმეურნეო სატყეოს ორბელის უბნის უფროსი, ორბელის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ჩაკვეტაძე ნორა ნიკოლოზის ასული—სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული განყოფილების ეკონომისტი, სახდაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ცხვედიანი გრიშა გრიგოლის ძე—დეხვირის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ხვადაგიანი ლალი დავითის ასული—საქართველოს ალკაკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციის განყოფილების გამგე, საქართველოს ალკაკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯანაძე რეზო სერგოს ძე—ალპანის კოლმეურნეობის აგრონომი, ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დ. ი. სვანიძე,**

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი **ნ. ჯ. ტვილდიანი.**

26 თებერვალი, 1990 წელი ქ. ცაგერი.

პედაგოგის ჭრიბუნა

★

ფიქრები ხმამაღლა

კალენდარული წელი მოვლენათა რკალს ყოველთვის არ ემთხვევა, ზოგჯერ სულ მოკლე დროში მთელი ცხოვრება იცვლება და ახალ შინაარსს იძენს. ასე ხდება ჩვენს ქვეყანაში, დაიწყო ახლებურად აზროვნების ეტაპი და რამდენიმე წელიწადში იმდენი სიახლე შემოგვთავაზეს, რასაც ათეულობით წლები არ ეყოფოდა. ბუნებრივია, ასეთმა ტალღამ სკოლას უარი ათქმევინა ძველ ტრადიციებზე.

ძველი სასკოლო მექანიზმის შეცვლისა და ახალი ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების პროცესში სკოლის წინაშე უსაზღვროდ დიდი პრობლემა დგას—აღზარდოს მცოდნე, სულიერად მდიდარი, შემოქმედი პიროვნება, რომელიც იცხოვრებს და იშრომებს სოციალური სამართლიანობისა და გონიერების, სიკეთისა და მშვენიერების კანონებით, სადაც ჩამოყალიბებული იქნება სწორი ზნეობრივი იდეალები, მაღალი ესთეტიკური შეხედულებანი.

სკოლის მიერ ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში პედაგოგიური კოლექტივიდან გამოიკვეთება კლასის ხელმძღვანელის როლი და ამოცანები. კლასის ხელმძღვანელის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული ბავშვების შესწავლაზე, რა გარემოში უხდებათ ცხოვრება, რა როლს ასრულებს მშობლები მათ ჩამოყალიბებაში, როგორი ამხანაგები ჰყავს, როგორია ბავშვის ინტერესი, მიდრეკილებანი, ნებისყოფა და სხვა.

როგორც კლასის ხელმძღვანელმა, გარკვეული გამოცდილება დავაგროვე ბავშვებთან და მათ მშობლებთან მუშაობისა. საუკეთესო შედეგს იძლევა კლასიდან კლასში ხელმძღვანელის გადაყოლის პრინციპი. სასწავლო წლის ბოლოს, აკადემიურ შეფასებასთან ერთად ვქმნი კლასის თითოეული მოსწავლის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ სურათს, ამით მომდევნო წელს მიადვილდება მუშაობა.

მუშაობაში წარმატებას ვაღწევ მშობლებთან ურთიერთობის სწორი ორგანიზაციით, კლასთან მუშაობას სწორედ მშრომელთა კოლექტივის შექმნით ვიწყებ. ინდივიდუალური საუბრებითა და მშობელთა კრებებით ყველა მშობელი ჩაბმული მყავს აღზრდის პროცესში, მრავალ ღონისძიებას ვატარებ მათი პედაგოგიზაციისათვის.

ყოველგვარი მუშაობის გეგმა, რაც კლასში უნდა შესრულდეს, დგება მოსწავლეთა მეშვეობით, მათი უშუალო მონაწილეობით, ყველა ღონისძიებას: ექსკურსიებს, კინოზე კოლექტიურ დასწრებას, ნახულის განხილვას, დილა-საღამოებს და სხვას მოსწავლეთა სურვილის შესაბამისად ვატარებ და ამით დადებით შედეგებს ვაღწევ. მე-6 კლასი, რომელსაც ვხელმძღვანელობ, 'მოწინავეა სკოლაში სწავლისა და დისციპლინის მხრივ. არ გვაქვს მოსწავლეთა ქცევის წესების დარღვევის არცერთი შემთხვევა.

ვფიქრობ, ბევრის აზრს გამოვხატავ იმით, რომ დღეს ისე, როგორც არასდროს, აუცილებელია ახალგაზრდობას უფრო ღრმად ჩავუნერგოთ ქართველი ერის, საქართველოს სიყვარული, რაც ყოველ გაკვეთილზე უნდა ხდებოდეს და ვცდილობ ამას დავუმატო მოფიქრებული, საინტერესო გაკვეთილისგარეშე ღონისძიებანი. ხშირად ვატარებ საუბრებს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულზე, ქართველთა გმირობაზე და სხვა.

მე, როგორც კლასის ხელმძღვანელი და მასწავლებელი მადლიერების გრძნობას გამოვხატავ იმის თაობაზე, რომ შემუშავდა და გამოქვეყნებულია საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტი, რომელიც ფართოდ განიხილება, დაიხვეწება. მასში სრულყოფილადაა მოცემული ქართული სკოლის სასიცოცხლო ინტერესები. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ამ დოკუმენტით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველოს აღვუზარდოთ ღირსეული ახალგაზრდობა.

მ. ჭაბუკიანი,
ჩხუტელის საშუალო სკოლის მე-6 კლასის ხელმძღვანელი.

როგორ ვკვებავთ ავადმყოფებს?

სამკურნალო კვების სწორი ორგანიზაცია ავადმყოფთა მომსახურების ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს, იგი კომპლექსური მკურნალობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და გამოყენებულ უნდა იქნეს საავადმყოფოს ყველა პროფილურ განყოფილებაში. ეს მოთხოვნა კარგად ესმით ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს ხელმძღვანელებს (მთავარი ექიმი ზ. ახვლედიანი). ამ საავადმყოფოში ყველა ღონისძიებას ხმარობენ, ავადმყოფთა კვება მოაწყონ დადგენილი წესის მიხედვით და ძირითადად დამაკმაყოფილებელ შედეგს აღწევენ.

ჩვენს მიერ 21 თებერვალს ლაჯანის საუბნო საავადმყოფოში ავადმყოფთა კვების გაცნობამ დაადასტურა, რომ წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია ავადმყოფთა კვება. საავადმყოფო შეუფერხებლად მარაგდება ხორცით, შედედებული რძით, კარაქით, შაქრით, სხვადასხვა ხარისხის პურით, ხახვით, ნიორით და სხვა საჭირო პროდუქტებით. დაცულია საკვები ულუფის დღიური რაციონი. სამზარეულოს მომსახურე პერსონალი, მზარეულები ს. ჩაჩხიანი, ს. ახვლედიანი მაქსიმუმს აკეთებენ იმისათვის, რომ მოამზადონ ხარისხიანი კერძები. სამზარეულოში დაცულია სისუფთავე. აქვთ გამდინარე ცივი და ცხელი წყალი, ცალკეა ჭურჭლის სარეცხი ოთახი, აქვთ სარეცხი საშუალებები, სამზარეულოსა და სამრეცხაოში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

საავადმყოფოში დანერგილია დიეტური კვება, მზადდება და ავადმყოფები ექიმის დანიშნულებისამებრ იღებენ დიეტურ კერძებს. სამზარეულომ 21 თებერვალს 31 ავადმყოფის კვებისათვის მიიღო საკმარისი ოდენობის ხორცი, კარაქი, შაქარი, შედედებული რძე, ბურღული და სხვა საჭირო პროდუქტები, დღიურ რაციონში დაცულია კალორიულობა.

საავადმყოფოში ავადმყოფთა კვებას უფროსი ექთანი ნ. ახვლედიანი ხელმძღვანელობს. მთავარი ექიმი ზ. ახვლედიანი სისტემატურად აკონტროლებს კერძების ხარისხს, ულუფის ოდენობას და სწორედ საქმისადმი ასეთი მიდგომის შედეგია, რომ ავადმყოფები როგორც მკურნალობით, ისე კვებითაც კმაყოფილი არიან და რაიმე პრეტენზია არ აქვთ.

მიუხედავად საგრძნობი მიღწევებისა ავადმყოფთათვის საკვების მომზადების ტექნოლოგიაში და კვების ულუფის შემადგენლობის დაცვაში არის ნაკლოვანებები. საავადმყოფოს გასულ წელს არ მიუღია არცერთი კილოგრამი არაჟანი, ხაჭო, მაწონი, ნატურალური რძე, ხილი, წყვეტილობაა კომბოსტოს მიწოდებაში.

საავადმყოფოს არ აქვს სასადილო, რის გამოც საკვებ ულუფებს ყველა სახის ავადმყოფებზე პირდაპირ პალატებში არიგებენ, რაც სანიტარულ-ჰიგიენური წესებისა და სანეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმის დარღვევაა, რის გამოსწორებისათვის ზრუნავს საავადმყოფოს ხელმძღვანელობა.

ვ. დავითუღიანი.

თუ კოლმეურნეობები გაუქმდება...

(დასასრული).

პროდუქციაზე დანახარჯების ზრდა, ხესხების ხუთწლედების ბოლოს ჩამოწერა თანდათან აჩვევდა კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს სხვის მოიმედეობას, უმოქმედობას და ამდენად, თანდათან იკლო ზრუნვამ მიწის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი რაიონის სოფლებს კოლმეურნეობების გაერთიანება-დამსხვილებამ მოუტანა. 5-10 კილომეტრით დაშორებული 5-6-7 სოფლის ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, გამოიკეტა სოფლის ცენტრში არსებული კოლმეურნეობის კანტორა, კოლწევრთა უმრავლესობა მეზობელ სოფლებში კრებასაც ვერ ესწრება, ამას ემატება კოლმეურნეობის გაბერილი აპარატი, მისი ზემდგომი ორგანოების, სამინისტროს ჩათვლით, ათასობით მიწერები, დებულებები. მითითებები იმ მეურნე გლეხისათვის, რომელიც ათეული წლების განმავლობაში უვლის ბაღს, ვენახს, მოყავს სიმინდი, ლობიო და სხვა პროდუქტები. სწავლება მისთვის იმისა, თუ როგორ მიიღოს მოსავალი, ჩემის აზრით, ზედმეტია. სწორედ ეს მიზეზებია იმის საბაბი, რომ დღეს ბევრი უარყოფითი აზრია კოლმეურნეობებზე, ბოლოსდაბოლოს, მათ დაშლაზე და კერძო გლეხური მეურნეობის დამკვიდრებაზე. მე კი მიმაჩნია, რომ თუ კოლმეურნეობები დაიშლება, თითოეულ სოფელში შეიქმნას კარგად ორგანიზებული კოოპერატივები. და თვითონ მათ მიეცეთ უფლება განსაზღვრონ როგორ გამოიყენონ მიწები, რომელი კულტურები მოიწიონ, რა რაოდენობის პირუტყვი გამოზარდონ და მათი ნაშრომი ვის და რა ფასად მიყიდონ, ან აწარმოონ გაცვლა ექვივალენტურ ფასებში სახელმწიფოსთან, მათთვის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობის თუ სხვა საჭირო მანქანა-იარაღების მისაღებად. კოოპერატივები დიდ სამსახურს გაუწევს ლეჩხუმის აღორძინებას, მისი მთაბარის უკეთესად გამოყენებას და მოსახლეობის შემოსავლის მაქსიმალურ გაზრდას. რადგან რაიონში დღესაც ბევრია ვარგისი, მაგრამ დაუმუშავებლად მიტოვებული მიწები და რაიონის გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა, ჩემი აზრით, კიდევ უფრო გაართულებს არსებულ მდგომარეობას.

ვლადიმერ თოდიძე,
მეტყველ ინჟინერი, პენსიონერი.

ეს საინტერესოა სასწაული დალასში

სანლში მე მყავს ორი კატა და ძაღლი—ამბობს ნატაშა და ოცნებით შეჰყურებს, გამხდარი ხელებით იზიდავს დიდ მიკი მაუსს. იგი გოგონას ამერიკელმა მეგობრებმა აჩუქეს ქ. დალასის კლინიკაში, სადაც ოპერაცია გაუკეთეს 5 წლის პატარას, და არა მარტო მას, პეტია მარტინოვს, ინა ბენდიკოვას და კიდევ შვიდ ჩვენს პატარა თანამემამულეს შეუძლია ახლა ცხოვრება სრულფასოვნად, ისე, როგორც მილიონობით მათ თანატოლს.

—მე ვერ ვიცანი ჩემი ბიჭი, თქვენ ნახეთ სურათი, როგორი იყო იგი ოპერაციამდე. ამერიკელებმა მოახდინეს სასწაული. ამ ბავშვებს დაბადებიდანვე ყბასახის დეფორმაცია ჰქონდა—ამბობს ბავშვთა განყოფილების გამგე, ნეო-ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი მიხეილ ანანოვი—გასული წლის შემოდგომაზე ჩვენ დავიწყეთ მოლაპარაკება ყბა-სახის ქირურგიის საერთაშორისო ინსტიტუტთან დალასში (ტეხასის შტატი), შესაძლებელი იყო თუ არა საბჭოთა ბავშვების იქ მკურნალობა. მივიღეთ თანხმობა ნოემბრის თვეში და გავფრინდით ამერიკაში. მგზავრობის ღირებულება გაიღო ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდმა.

ყველა ბავშვმა გადაიტანა ხანგრძლივი ოპერაცია. მათი მდგომარეობა ოპერაციის შემდეგ ძალიან მძიმე იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდნენ. ყველა ხარჯი გაიღო ამერიკის მხარემ. ამერიკელი ნეო-ქირურგები მაისის თვეში ჩამოვლენ საბჭოთა კავშირში.

„მედიცინსკაია გაზეტა“

უნივერსალური მოტოგლოკი

ნოვგოროდი. ფერმერისა და მეეზოვის, ტყისმჭრელისა და მშენებლის, ყველასი, ვისაც კი დამხმარე მეურნეობა აქვს, შეუცვლელი თანაშემწე გახდება მოტობლოკი „ნევა“. ასეთი ტექნიკის გამოშვება დაიწყო ქარხანა „ენერგიამ“. „ნევა“ შეიძლება გამოიყენოთ ნიადაგის დამუშავების, თიბვის, საკვების დაქუცმაცების, მერქნის დამუშავების, თოვლის ახვეტის დროს. შარშან დამზადებულია ორი ათას ხუთასი ასეთი მოტობლოკი. წელს უკვე ათი ათასამდე ასეთი უნივერსალური აგრეგატი გაიყიდება.

შენთვის, მკითხველო!

ამ დღეებში ცაგერის ცენტრალური წიგნის მაღაზიის თაროებს შეემატა საკავშირო თუ რესპუბლიკურ გამომცემლობათა მიერ გამოშვებული ახალი სამეცნიერო, მხატვრული ლიტერატურა.

მკითხველებს შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს სსრ მეცნიერებათ აკადემიის გამომცემლობაში დაბეჭდილი ირაკლი აბაშიძის წიგნი „ფიქრები პალესტინაზე“, სადაც დღიურების სახით გადმოცემულია მწერლის პირადი შთაბეჭდილებები. ავტორი აღწერს იმ გარემოსა და პირობებს, რომელშიც უხდებოდათ მუშაობა ექსპედიციის წევრებს. მიუხედავად იმისა, რომ წიგნში არ არის მოთხრობილი ექსპედიციის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო საქმიანობაზე, მკითხველს შეუმჩნეველი არ შეიძლება დარჩეს ექსპედიციის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართული მწერლობის ისტორიისათვის. წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ მასში შეტანილია ფოტორეპროდუქცია შოთა რუსთაველის ფრესკისა, რომელიც პირველად ექსპედიციის წევრებმა აღმოაჩინეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. აქვეა ჯვრის მონასტრის, „გოდების კედლის“, იერუსალიმის სხვა ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილების ფოტოაღწერილობანი.

გამომცემლობა „მერანმა“ წელს პირველად გამოსცა ქართველი მწერლისა და მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის წერილების კრებული. წინამდებარე კრებულში იბეჭდება მწერლის წერილები, რომლებმაც საყოველთაო პოპულარობა მოუპოვეს ავტორს და გავლენა მოახდინეს მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ წერილები, რომელიც ეხება ხელოვნების, რელიგიის, ფილოსოფიის საკითხებს, ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. კრებულის შემდგენელია აკაკი ბაქრაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი მკითხველს სთავაზობს „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეცხრე ტომს, რომელიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს. აღნიშნული წიგნი, პირველ რიგში, განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტებისათვის. მასში თავმოყრილია ნარკვევები ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის აქტუალურ საკითხებზე, მოიცავს ქართული ენის ფუნქციონირების თითქმის ყველა სფეროს: ორთოგრაფიას, გრამატიკას, ლექსიკას. წიგნში მოცემულია მეცნიერული კვლევა ილ. ჭავჭავაძის ენისა და სტილის. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ“.

ქართული დრამატურგიის მოყვარულთ საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორგანოს „დრამატურგია-89“-ის მეშვეობით შეუძლიათ გაეცნონ თამაზ ჭილაძის, ლაშა თაბუკაშვილის, ლეილა ბეროშვილის, სხვა ცნობილ ქართველ დრამატურგთა უახლოეს ხანს შექმნილ ნაწარმოებებს. აქვეა თეატრმცოდნეების ვასილ კიკნაძის, ანა ჭავჭავაძის თუ სხვათა თეატრალური რეცენზიები, წერილები, საზღვარგარეთული დრამატურგიის ქართული თარგმანები.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ ნორჩი მკითხველისათვის გამოსცა ეთერ სამხარაძის „ნუნუკას ბაფთები“ (ლექსთა კრებული), ანა იმედაძის „ფერხული მზის საფიდებლად“, ხოლო გამომცემლობა „ხელოვნებამ“ პატარებს შესთავაზა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნას“ ახალი, ილუსტრირებული გამოცემა.

ეურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაძე წიგნში „ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება“ გადმოგვცემს სეულში ჩატარებული 24-ე ოლიმპიადასთან დაკავშირებულ ამბებს. წიგნში ვეცნობით ეურნალისტურ ჩანაწერებს, წერილებს სპორტის აქტუალურ საკითხებზე. მკითხველი გაეცნობა აგრეთვე ოლიმპიადის დღეების ამსახველ ფოტოებს. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

მეეღლე ქუქუნა, შვილები როლანდი, გელო, პეპო, ნანა, და ზინა, რძლები გიული ქობულაძე, ზაირა გაზდელიანი, ნორა გიორგაძე, შვილიშვილები დათო, ნინო, ალეკო, სულხან, ფრიდონ ლაჭყეპიანები, ირინე, ირმა, ია ქობულაძეები, სიძეები ეორა გოგელიძე, ბეჟან ქობულაძე, ბიძაშვილები შიო, შალვა ლაჭყეპიანები, ცოლისძმა ბიქტორ უგრეხელიძე, დისშვილები, ცოლისდები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსანდრეს ძე ლაჭყეპიანი.

პანაშვიდი ყოველდღე. დაკრძალვა 4 მარტს, კვირას, 17 საათზე, სოფ. ტვიშში.

ცოლისდა გოგუცა, ქვისლი ხოსო, ცოლისდისშვილები კარლო, რეზო ჩაკვეტაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან კონსტანტინეს ძე ლოსაბერიძე.

დაკრძალვა 4 მარტს, კვირას, ტყიბულის რაიონის სოფელ კიროვში.

უახლოესი მეზობლები ჯიბილო, დადაში, ზურიკო მეშველიანები, ჯანიკო ჩაფიძე, გრიშა სილაგაძე, დათო, ვარლამ, არჩილ მურცხვალაძეები, ბესიკ ბენდელიანი, სერგო ახვლედიანი, ზაურ კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე კვირკაშვილი-ეფაძე.

შვილები რუსუდან, დავითი, რძალი ზესნა ბაღაშვილი, შვილიშვილები ნინო, მარინე, ნანი, სიძეები ამირან მაისურაძე, რომან ტვილდიანი, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოლა ბეჟანის ასული ჩხეტიანი-დავითულიანი.

დაკრძალვა 4 მარტს, კვირას, 4 საათზე, ქ. ცაგერში.

რძლები ქუქუნა, ნელი, შვილიშვილები ნუკრი, ჩიტო, სიძე ანდრო ლუკავა, შვილთაშვილები მაია, დათო, თამრიკო, ნიკა, დისშვილები გერსი, ლამარა, ნანული, კლარა თვარაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ფილიპეს ასული გოგოლაშვილი-ფაღავა.

დაკრძალვა 3 მარტს, შაბათს, სოფ. უსახელოში.

ნოდარ, ანზორ, ზურაბ, თამაზ, თენგიზ, შოთა მდივნები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა (გოგოლა) ვანიჩკას ასული მდივანი-ბედიანიძე.

ჩხუტელის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მიხეილ და ავთანდილ ეფაძეებს მეუღლისა და დედის

გალინე პეტრეს ასული ეფაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინა, შვილები ნათელა, შამილი, იური, სიძე იორამ ჯიქია, რძალი სვეტა, შვილიშვილები თამაზი, ირმა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხა ესტატეს ძე მუშკუდიანი.

დაკრძალვა 3 მარტს, შაბათს, სოფ. ლასურიაში.

შვილები ციცო, მანანა გიორგელიძეები, სიძე გურამი, შვილიშვილები ლეილა, შოთიკო, მძახლები ლეილა, შოთა ბახუტაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენგერ ესტატეს ძე გიორგელიძე.

დაკრძალვა 3 მარტს, შაბათს, გამოსვენება 5 საათზე, თამარის ქ. №27.

შოთა გუგავა, შალვა ფოჩხიძე, თინა ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე ეფაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ნორა, ჯუმბერ ბენდელიანები ოჯახით თანაუგრძნობენ გოგუცა, სოსო, კარლო, რეზო ჩაკვეტაძეებს

ლევან ლოსაბერიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, ლაბორატორიის, ტექბიუროს, სახლმმართველობის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვენგერ ესტატეს ძე გიორგელიძე

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №58. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.